ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2338 კვირა, 30 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2338

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. **ტელეფონი № 372.**

ცოტა ხნისა, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 26 ნოემბერს გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი

სიმონ ისაკის ძე ფისაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მისი ნინო სიმონის ასული, დედა ძ და განსვენებულისა მარიამ ზაქარიას ასული იანქოშვილისა. გარდაცვალებულს გამოასვენებენ თავის სადგომიდან (გუნიბის ქუჩა, № 21) კვირას, 30 ნოემბერს და, ქვაშვეთის წმ. გიორგი ეკლესიაში წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ, დაკრძალვენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—ნ.—1)

25. წარ. ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

კვირას, 30 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

II

ბუტიაობა

ვოდ. 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ალ. კარგარეთელი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: კ. მესხის სცენეფისოდ „რუსთაველი“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 30 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

სნეგუროჩკა

ოპერა 4 მოქმ. რიმსკი-კორსაკოვისა

მონაწილეობას იღებენ; ქ-ნნი: გალცინა, კარტავინა, სელიუკ, ლელინა; ბ-ნნი: სელიავინი, ილიუშჩენკო, ევლახოვი, სანგურსკი, თულაევი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: ორშაბათს, 1 დეკემბერს, ვერის ყაზბეგის სახელობის სკოლის სასარგებლოდ ფიგნერის მონაწილეობით „კარმენ“-ი. მზადდება წარმოსადგენად „კამორა“. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11 12.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 - 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 —1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი 4. № 27**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაქისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქისპირდაპირ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—25)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5— 7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ამომავალ მზის ქვეყანაში“

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ამ დღეებში ტოკიოში მინისტრების საბჭო მოულოდნელად შეჰკრიბეს; რაზე ჰქონდა ლაპარაკი საბჭოს და რა გადასწყვიტა, ვერავინ ვერ გაიგო.

ტოკიოში არა სჯერათ, რომ რუსეთი და იაპონია მორიგების უმთავრეს მუხლების თაობაზე შეთანხმებულიყვნენ. ამას წინად რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ლამსდორფს იაპონიის დიპლომატთა კორპუსი მიეღო პეტერბურგში და ეთქვა, იმედი მაქვს, რუსეთ-იაპონიის დავა მორიგებით გათავდებაო. გრაფ ლამსდორფის სიტყვებმა ძლიერ გააკვირვა იაპონელი პოლიტიკოსები. რუსეთ-იაპონიის დავა როგორ გათავდება მორიგებით, როდესაც რუსეთი ასე მოურიდებლადა და კადნიერად იქცევა მანჯურიასა და კორეიაშიო,—ამბობენ იაპონელები.

ორმა უძლიერესმა პოლიტიკურმა პარტიამ—შიმპოტიმ და შეიინკაიმ—დიდი კრებები მოახდინეს. შიმპოტასტების მეთაურმა ოკურამ მკაცრად გაჰკიცხა სამინისტროს საგარეო პოლიტიკა, მეორე პარტიის მეთაურმა სანონჯიმ უფრო თავდაჭერით ილაპარაკა, მაგრამ ორივემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ მთავრობაზე ძლიერი იერიში უნდა მივიტანოთ და უფრო მედგარი საგარეო პოლიტიკა მოვთხოვოთო.

„ტაიმს“-ს სწერენ ტოკიოდან: ყველა იაპონური გავლენიანი გაზეთი ერთხმად ჰლანძღავს რუსეთს, რატომ აქამდე პასუხს არ აძლევს იაპონიასაო. გაზეთები სწერენ: იაპონიის ხალხი გადაჭრილ პასუხს თხოულობს. რაკი რუსეთი პასუხს არ იძლევა, იაპონია სხვანაირად უნდა მოიქცეს და თავის ინტერესების დასაცველად სხვა რამ ხერხი და ღონე იხმაროსო.

ყველა პოლიტიკური პარტია, საქმის ხალხი და ვაჭრებიც-კი გაბედულ პოლიტიკას თხოულობენ.

„რეიტერის სააგენტოს“ (ინგლისელების სააგენტოა) დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ არჩეული კონოე პროგრესისტების (ომის მომხრეების) პარტიის წევრიაო.

ეს ამბავი პროგრესისტების გამარჯვებას ნიშნავს. ამიტომ უნდა მოველოდდეთ, რომ იაპონიის პარლამენტიც უფრო გაბედულ პოლიტიკას მოსთხოვს მთავრობას.

იაპონურ პრესსის აზრი რუსეთზე

იაპონური გაზ. „ძი-ძი“ მოწინავე წერილში ამტკიცებს, რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში არაფერი ძალა არა აქვსო. ომი რომ მოხდეს, რუსეთი მანჯურიასაც დაჰკარგავს და ევროპაშიაც ძლიერ გაიტეხს სახელსაო; ისეთ დიდ როლს ველარ ითამაშებს, როგორსაც აქამდე თამაშობდაო.

გაზ. „ასაჰი“-ს კორესპონდენტი სწერს: რუსეთის სამხედრო ფლოტის იმედი თითონ ადმირალ ალექსევსაც არა აქვს. ბევრს რუსის გემს რემონტი და შეკეთება სჭირიაო.

„ჯაპან მეილ“-ი კი სულ სხვა თვალით უცქერის რუსეთის ფლოტსა. გაზეთი სწერს: „რუსეთი დღე და დღე ჯარს უმატებს მანჯურიაში. იქნება, ხმები რუსეთის ჯარის რიცხვზე გაზვიადებულიც იყვეს, მაგრამ ეჭვი არაა, რომ რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში მეტად გააძლიერა თავისი ფლოტი. რუსეთის ფლოტი ეხლავე არ დაუვარდება იაპონიის ფლოტსა, ორიოდე თვის შემდეგ კი იაპონიის ფლოტს ყველაფრით გადააჭარბებს. ცხადად სჩანს, რომ რუსეთს მანჯურიიდან ჯარის გაყვანა ფიქრადაც არ მოსდის. ამბობენ, რუსეთი თანახმაა, მანჯურიაში ყველას მიეცეს ვაჭრობის უფლებაო, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია, უცხოელები რანაირად ივაჭრებენ მანჯურიაში, თუ რუსეთი იქიდან ჯარს არ გაიყვანს. ამიტომ არა გვგონია, რომ რუსეთი ამ საქმეში გულწრფელად იქცეოდეს და ნამდვილად მშვიდობიანობა ეწადოს. იაპონიის მთავრობას კი ნამდვილად მშვიდობიანობა სწადიან, თავისი სიმართლეც სწამს და საომრადაც მომზადებულია. თუმცა რუსეთიც ბეჯითად ემზადება საომრად, მაგრამ დღესაც არაა მზად. ამიტომ, რა გასაკვირველია, რომ რუსეთი მოლაპარაკებას აჭიანურებს და ომზე ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს“.

ჩინეთი ომის თადარიგშია

ჩინური გაზ. „სინ-ვენ-ბაო“ იუწყება, გუან-დუნის პროვინციის მეფის მოადგილე დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ომი დღედღეზე დაიწყება. ამიტომ მეფის მოადგილემ უბრძანა ნანკინის მთავარ შტაბს, ქალაქს გარშემო ყველა სიმაგრე შეაკეთეთ და რიგზე შეინახეთო.

იგივე გაზეთი იუწყება: ჩილის პროვინციის მთავარ-სარდალი გენერალი მა უი-გუნი 10 ბატალიონით შანჰაი-გუანისაკენ წავიდაო. ეს ჯარი კარგადაა შეიარაღებულიო.

ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ს სწერენ ტიანძინიდან: რუსებმა მუკდენში ხაზინიდან ჩინელი მოხელეები დაითხოვეს და იმათ ნაცვლად ათასზე მეტი რუსი მოხელე ჩააყენესო.

ამავე გაზ. კორესპონდენტი იუწყება: ჩინეთში დიდ-ძალი ხალხი აცხადებს სურვილს, თუ ვინიცობაა რუსეთთან ომი მოხდა, ჯარში შევალთ და რუსეთის წინააღმდეგ ვიბრძოლებთო.

იაპონური გაზეთი „ასაჰი“ იუწყება: ჩინელმა გენერალმა მამ ბრძანება მიიღო თავის მთავრობისაგან, 20 ბატალიონი ჯარი შეჰკრიბე და საომრად დაამზადეო. თუ ომი მოხდა, ეს ჯარი მანჯურიასა და მონგოლიაში იმოქმედებსო.“

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე და დიდი სახელმწიფოები

როგორც ვიცით, ინგლისური პრესა დიდის ყურადღებით ეკიდება შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს და დიდის ინტერესით მოელის რუსეთ-იაპონიის დავის გადაწყვეტას. დიდი ინგლისური გაზეთები ყოველ დღე მოწინავე წერილებს უძღვნიან ამ საქმეს. ინგლისურ გაზეთებს, რასაკვირველია, ისიც ძლიერ ეინტერესებათ, როგორ მოიქცევიან ამ საქმეში დიდი სახელმწიფოები, ვინ ვის მხარს დაიჭერს და ვის მიუდგება. ჯერ-ჯერობით იაპონიას ინგლისი ჰყავს მოკავშირედ, რუსეთს კიდევ საფრანგეთი. გაზ. „დეილი მეილ“-ი სწერს ამის თაობაზე:

შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში იაპონია და ინგლისი ერთს მხარესა დგანან, რუსეთი და საფრანგეთი მეორეს. საინტერესოა, ჩინეთი, გერმანია და შეერთებული შტატები როგორღა მოიქცევიან, ვის დაუჭერენ მხარსა. ეჭვი არაა, ჩინეთი იაპონიის პირს დაიჭერს. ადვილი შესაძლებელია, რომ შეერთებულმა შტატებმაც იაპონიის მხარე დაიჭირონ და დახმარებაც გაუწიონ. სიტყვა ის არის, როგორ მოიქცევა საფრანგეთი: რუსეთს დაეხმარება, თუ არა? კავშირის ძალით, საფრანგეთმა შორეულ - აღმოსავლეთშიაც მხარი უნდა მისცეს რუსეთს, თუ მარტო ევროპაში უნდა გაუწიოს დახმარება? თუ საფრანგეთმა რუსეთს უარი უთხრა შველაზე, შესაძლებელია, ამ სახელმწიფოს ადგილი გერმანიამ დაიჭიროს და რუსეთს უშველოს. ამ შველით გერმანია რუსეთის გულს მოიგებს და შორეულ-აღმოსავლეთში საკუთარ სამფლობელოს გაიფართოვებს. დასასრულ გაზეთი ურჩევს ინგლისის მთავრობას, მეტად ფრთხილადა და წინდახედულად უნდა მოიქცეთ და თუ ვინიცობაა შორეულ-აღმოსავლეთში რამე დიდი ამბები ასტყდეს, ინგლისიც მზად უნდა იყოსო.

ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა დააარსოს კავკასიაში დიდი სასოფლო-სამეურნეო **კოლონია სულით ავადმყოფთათვის**. კოლონია უნდა გაიმართოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ქობულეთის მახლობლად. ამჟამად ტეხნიკოსთა და მკურნალთა კომისია ადგენ პროექტს შენობებისას და ხარჯთ-აღრიცხვას 1904 წლისათვის.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა წერილობით სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება დართოს **პრესის წარმომადგენლებს** გამგეობის სხდომებზე დასწრებისა. ქალაქის მოურავმა წერილობითვე შეატყობინა ხმ. თამამშევს, რომ, კანონთა კრებულის მეორე ტომის 1 ნაწილის მე-46 მუხლის ძალით, ქალაქის გამგეობა წარმოადგენს განსაკუთრებულ საკრებულოს და იმის სხდომებზე დასწრების უფლება არა აქვთ არც კერძო კაცებს და არც საბჭოს ხმოსნებს. ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია გაზეთების წარმომადგენლებს ნება მივცე გამგეობის სხდომებს ესწრებოდნენო. შემდეგ მოურავი სწერს, რომ პრესსის წარმომადგენელის დასწრება გამგეობის სხდომაზე მეტიც არის, რადგან გამგეობა და კომისიები უიმისოდაც აწვდიან ყოველ გვარ ცნობებს გაზეთის წარმომადგენელთაო.

◆ 28 ნოემბერს ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ განიხილა გამგეობის მოხ-

სენება **თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის** ყოველ ხუთი წლის შემდეგ ჯამაგირის მომატების შესახებ. კომისია დაეთანხმა გამგეობას ამ საკითხის შესახებ, მაგრამ, რადგან ქალაქს დეფიციტი მოელის, დაადგინა, დამატებით ჯამაგირებისათვის ფული გადაიდოს 1905 წლის პირველ იანვრიდან, დამატებით ჯამაგირების ვადა დაიწყება 1900 წლის 1 იანვრიდან და დამსახურებულ მოხელეების ჯამაგირს მიემატება ერთი პროცენტი.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭო** ხვალ, 1 დეკემბერს, წინა კრებაზე დარჩენილ საქმეების გარდა განიხილავს ხუთ. ექვს ახალ საქმეს.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამიროვმა ქალაქ ტფილისს ფული დაუტოვა **ორის სტიპენდიის** დასანიშნავად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ოთხი სტიპენდია დანიშნოს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა გამგეობას, რა მიზეზია, რომ ორის ნაცვლად ოთხ სტიპენდიასა ჰნიშნავთო. გუშინ გამგეობამ აცნობა მზრუნველს, რომ თანხას სარგებელი მიემატა და გადიდდა, რადგან თანხის დატოვებიდან სტიპენდიების განხორციელებამდე დიდი დრო გავიდაო.

◆ 21 ნოემბერს, ბაზრის ქუჩაზე, ყასაბის არტემ სუნტუგოვის დუქნის წინ, წაჩხუბებულან სოფელ საგარეჯოსა და გიორგი წმინდის მცხოვრებნი დიმიტრი თედიაშვილი და ალექსი დიდმელაშვილი. თედიაშვილს დანით დაუჭრია დიდმელაშვილი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. თედიაშვილი დაიმალა.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა პობედიმოვმა გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას გაანთავისუფლოს 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე. პობედიმოვი პეტერბურგს მიდის რუსეთის სატეხნიკო-სახროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრებაზე.

◆ 27 ნოემბერს, შადინოვის ქარვასლაში მცხოვრებ არშაკ არუთინოვის ოთახიდან მარტყოფის მცხოვრებს ნიკოლოზ ტბირელაშვილს ნივთები მოეპარა. ქურდი შეუნიშნავს ქარვასლის მეეზოვეს გოგაჩაშვილს და დაუჭერია.

◆ 27 ნოემბერს ხელოსნის თომა ბეჟაშვილის სახელოსნოდან ვილაც ბოროტ-მოქმედს მოუპარავს ორი დიდი ქამარი და ერთი საათი, 75 მანეთად ღირებული. ეჭვი მიიტანეს ილიკო გოგებაშვილზე, რომელიც დააპატიმრეს კიდეც.

◆ დღეს, 30 ნოემბერს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში ბ-ნი პობედიმოვი წაიკითხავს ლექციას გრამოფონების შესახებ. ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი. შემოსავალი გადაიდება ქალაქის სასწავლებელთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ 28 ნოემბერს, საღამოთი, ტფილისის მცხოვრები თეოდორე ზუევი ასულა ალექსანდრეს ბაღში ალექსანდრე ნეველის ტაძრის სამრეკლოზე და იქიდან დაუწყია ეკლესიის სახურავის ახდა, რომ ჩამოლულიყო საქურდლად. ეს შეუნიშნავს საგუბერნიო ხაზინის წინ მდგომ პოლიციელს კოტლიაროვს, მაშინვე მოუწვევია ამხანაგი და ბოროტ-მოქმედი დაჭერიათ.

ამ №-თან ერთად ხელისმომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-172 №, რომელშიაც მოთავსებულია: ლექსი კაზლოვიდან, განდეგილისა; „ზამთარი“, მოთხრობა სვ. ყიფიანისა; სურათები: ჰრებერტ სპენსერი; „ვარდებში“, მიულერისა; „უკანასკნელი სროლა“, კოვალსკისა და ორი კარიკატურა.

შინ და გარედ

40.

ამ დღეებში ტელეგრაფმა საყურადღებო ამბავი მოგვიტანა: მთავრობას გადაუწყვეტია, 2 ივნისის კანონი მწარმოებელთა პასუხისგების შესახებ **უთუოდ** შევა ძალაში 1904 წლის 1-ლ იანვრიდანაო...

ეს ამბავი მით არის საყურადღებო და სასიამოვნოც, რომ ბოლო დროს ცუდი ხმები გაავრცელეს გაზეთებმა; ამბობენ, კანონის განხორციელება გადადებულ იქნება, რადგან სხვა-და-სხვა რაიონის მწარმოებელმრეწველთაგან შუამდგომლობანი იქმნა აღძრული ამის შესახებაო. მართლაც, გაზეთებში დაიბეჭდა კიდეც სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველთა და პეტერბურგის მექარხნეთა შუამდგომლობა, გადადებულ იქნას ამ კანონის სისრულეში მოყვანა, რადგან ის დიდათ საზარალოა მწარმოებელთათვისო. როგორც ხსენებულ დეპეშაში იყო ნათქვამი, მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა ეს შუამდგომლობანი.

ამრიგად, როგორც იქნა, განხორციელდა დიდის ხნის განზრახული კანონი (პირველად მის შესახებ ლაპარაკი აღიძრა თითქმის 20 წლის წინად, როცა ფინანსთა მინისტრად და რუსეთის მუშათა კანონმდებლობამ წინ ბუნგეჯ იყო) გადასდგა ერთი ნაბიჯი.

რას წარმოადგენს ეს ახალი კანონი, რომელმაც ასე ააშფოთა მწარმოებელნი?

როგორც მოგეხსენებათ, სამთო მადნებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებში ძალიან ხშირია ეგრედ წოდებული უბედური შემთხვევა, რომლის დროს ბევრი მუშა ან სახიჩრდება და შრომა აღარ შეუძლია ან კვდება. ასეთი შემთხვევა ულუკმა-პუროდ სტოვებს მუშასა და მის ოჯახს, რადგან თავის მცირე გასამრჯელოსაგან მას არ შეუძლია „შავი დღისთვის“ რაიმე გადასდოს და რადგან არსებობისთვის, გარდა თავის შრომისა, სხვა სახსარი არა აქვს-რა. რადგან მუშას ასეთი უბედურება მაშინ ემართება, როდესაც მწარმოებელისათვის სიმდიდრესა ჰქმნის, ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, მწარმოებელმა უზრუნველჰყოს მუშა ასეთ უბედურ შემთხვევათაგან და უზღოს მას ან მის ოჯახს ზარალი, როცა მუშა დაშავდება ან მოკვდება. ასეთი წესი მართლაც არსებობს განათლებულ ქვეყნების მუშათა კანონმდებლობაში.

დღემდის რუსეთში ეს საქმე სხვანაირად არის მოწყობილი, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიად მოუწესრიგებელია. მართალია, დაშავებულ მუშას ან მოკლულ მუშის მემკვიდრეთ კანონი ნებას აძლევს სასამართლოში უჩივლოს მწარმოებელს და საზღაური მოითხოვოს; მაგრამ სასამართლოში მუშამ უნდა დაამტკიცოს, რომ უბედური შემთხვემწარმოებლის ბრალი იყო, რომ თვით დაშავებული ფრთხილად იყო, მაგრამ საქმის ცუდათ დაყენებამ შეაჰთხვია უბედურება. ამის დამტკიცება-კი მეტად ძნელია. შეძლებულს მწარმოებელს ადვოკატების წყალობითა და სხვა გზით უფრო ადვილად შეუძლია დაამტკიცოს, რომ უბედურ შემთხვევის მიზეზი თვით მუშა იყო. ამის მიზეზით, დღემდის დაშავებულ მუშებს თითქმის სრულიად არ შეეძლოთ საზღაური მიეღოთ მწარმოებელთაგან.

ახალი კანონი სრულიად სცვლის ამ წესს და ამიტომ იგი უთუოდ უნდა ჩაითვალოს პროგრესიულ კანონად. 2 ივნისის კანონის 1-ლ მუხლის ძალით, მწარმოებელი პასუხს აგებს, თუ მის საქმეში მუშა იმდენად დაშავდა, რომ სამი დღის მეტ დროს განმავლობაში აღარ შეუძლია მუშაობა ან თუ სრულიად დაჰკარგა მუშაობის ძალა ან თუ მოკვდა. კანონის მ-2 მუხლის ძალით, მწარმოებელი თავისუფალია პასუხისგებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მუშამ ან **განზრახ** დაისახიჩრა თავი და მოკვდა (злой умыселъ) ან მეტის-მეტ დაუდევრობისა გამო (грубая неосторожность) შეემთხვევა უბედურება. მაშასადამე, რაც აწინდელის წესით მუშის ვალდებულება იყო, ის ახალის კანონით მწარმოებელს დაეკისრა: მუშამ-კი არა, მწარმოებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ უბედურ შემთხვევის მიზეზი თვით დაშავებული მუშა იყო. ეს, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძნელია და ამიტომ ამიერიდან მუშა, ახლანდელ წესთან შედარებით, უფრო უზრუნველყოფილი იქნება და მწარმოებელი უფრო იშვიათად დაიძვრენს თავს პასუხის გებისაგან.

ვამბობ „ახლანდელ წესთან შედარებით-მეთქი“, რადგან ახალი კანონი ჯერ კიდევ შორს არის იდეალურ კანონისაგან. მართლაც, კანონი ამბობს: მწარმოებელი თავისუფალია პასუხის გებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ დაშავებული ან მოკლული მუშა დაუდევარი იყო, ფრთხილად არ მოიქცა. ეს პირობა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მუშას, რადგან სასამართლოს შეხედულებისაგან იქნება ყოველთვის დამოკიდებული, ჩასთვალოს თუ არა მუშა დაუდევრად. მწარმოებელს შეუძლია გააჭიანუროს საქმე; სასამართლოც ხშირად გაჭირვებაში იქნება გადაწყვეტილი მსჯავრი დასდოს; ერთ სასამართლოს შეუძლია რომელიმე შემთხვევის მიზეზად მუშა იცნოს და მეორე სასამართლოს—იმავე საქმეში მწარმოებელი იცნოს დამნაშავედ და სხვა. ამრიგად, კანონის ამ მოთხოვნას შეუძლია გამოურკვევლობა დაჰბადოს და ხელი შეუშალოს მუშის უზრუნველყოფობის საქმეს უბედურ შემთხვევათაგან. სამართლიანი კანონი ის იქნება, რომელიც მწარმოებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანთავისუფლებს პასუხის გებისაგან, როცა დამტკიცდება, რომ მუშამ **განზრახ** მოახდინა უბედური შემთხვევა საზღაურის მისაღებად. ამას მოითხოვს მეცნიერებაც, განათლებულ ქვეყნების ცდაც, სამართლიანობაც.

რაც შეეხება საზღაურის რაოდენობას და სახეს, მის შესახებ ახალ კანონში გარკვეული პასუხია. დაშავებულ მუშას ეძლევა ან ერთდროებითი შემწეობა ან ჯილდო იმ დრომდე, სანამ მუშაობას შესძლებს, ან პენსია, უკანასკნელი, თუ მუშამ სრულებით დაჰკარგა მუშაობის უნარი ან მოკლულ იქმნა; ამ შემთხვევაში პენსია მის **ოჯახს** დაენიშნება. ჯილდოთ დაშავებულს მუშას უნდა ეძლიოს მისი ჯამაგირის ნახევარი, პენსიად—ჯამაგირის ორი მესამედი. კარგია ახალ კანონში მე-4 და მე-19 მუხლები, რომელთა ძალით უკანონობად არის აღიარებული ყოველგვარი **კერძო** შეთანხმება

ფელეტონი

პატარა ამბები

ერთი სიზმარი.—მკითხველს.—ჩვენებური თვითმმართველობანი.—სამართლის ძებნა.—„ხალხის მტერის“ წარმოდგენის გამო.

გინდ ცრუმორწმუნედ ჩამთვალეთ, გინდ მეტაფიზიკად, გინდ სპირიტად, მაგრამ არ შემიძლია არ ვირწმუნო ზოგიერთი სიზმრები. რაღაცა უხილავი, მაგრამ უტყუარი ძალა ლაპარაკობს სიზმარში. ჩვენს შეგნებულს გონებას იქით არსებობს შეუგნებელი გონება, რომელიც ხანდახან მეტის სიღრმით, მეტის შორს-მჭვრეტელობით და უტყუარობით მოქმედობს, ვიდრე შეგნებული გონება. ხშირად ბევრი რამ ხდება ჩვენს თვალ წინ, ბევრი რამ გვესმის, რაიც ჩვენთვის სრულიად შეუგნებლად რჩება, მაგრამ რაიც არ იკარგება, მიაღწევს შეუგნებელს გონებამდის, უკანასკნელი წინ გადაგვიშლის ისეთს სურათებს, რომლებიც გვეუცხოვება, მაგრამ რომლებიც უფრო ნამდვილი და უტყუარ ფაქტებზე არიან დამყარებულნი, ვიდრე შეგნებულნი, ცხადად ნახულნი და გაგონილნი მოვლენანი...

უცხო მუზიკამ, სიმღერამ და თავდავიწყებულის ქეიფის ხმამ გამომაღვიძა. ბაღში ვიდექი, ჩემს გარშემო ყვავილების სურნელებით იყო აღსავსე ყველაფერი, აყვავებულს მცენარეებსთ გვერდ სხვა-და-სხვა ხეხილით დატვირთული ხეები ამოსდგომოდა. ფრინველთა გალობა გაისმოდა ირგვლივ, და წყაროების შუილი თითქმის ბანს აძლევდა მათ გალობას. მარმარილოს სასახლე სასახლეს ამშვენებდა, ერთის სილამაზე და სიკოხტავე მეორესას ეჯიბრებოდა და ადამიანის ხელი და ბუნება თითქო შეერთებულიყვნენ, რომ დედამიწაზე დაემყარებინათ ბედნიერება....

ბაღის იქით უბრალო ხეივანი მოსჩანდა, რომელიც იქით და იქით თანდათან ტყეს ემსგავსებოდა და ბოლოს დაბურულ ტყედ იყო გადაქცეული. ტყისაკენ მთელი მხარე ბნელით იყო მოცული და საშიში იყო იქით გახედვა. მე ერთი გავიხედე ტყისაკენ და მაშინათვე მოვბრუნდი. იქ სიკვდილის სამეფო უნდა ყოფილიყო. ცა ორად იყო გაყოფილი: ერთი ბაღს ანათებდა მრწყინვალე სხივებით, მეორე ნაწილი-კი შავ ზეწრათ გადაფარებოდა ყველაფერს...

მე ვიდექი ერთს ადგილას და ჩემს ყურებში კიდევ თავდავიწყებულის ქეიფის ხმა გაისმოდა. დიდხანს არ გავნძრეულვარ. თითქოს ჩემს გრძნობებს გამოფხიზლება უნდოდათ და სავსებით შეგნება ყველაფრის ნახულისა. მერე ღრმად ამოვისუნთქე, გავიარ-გამოვიარე, სათითაოდ ვუკვირდებოდი ყოველს საგანს. ყველაფრის გულში ვიხედებოდი და ვხედავდი და ვგრძნობდი, არა ხილულსაც და არა-საგრძნობსაც. უნებურად გავიხედე ბნელ მხარესკენ და მაშინათვე მაშინალურად დავხუჭე თვალები. კანკალი დამაწყებინა, ფეხები არ მემორჩილებოდნენ რომ უკან გამოვბრუნებულიყავ. რაღაც შეუგნებელი ძალა მიზიდავდა თავისაკენ. ლონე მოვიკრიბე და თვალები კვლავ გავახილე.

ერთბაშად საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ფრინველებმა გალობა შესწყვიტეს, წყაროები დადგა, ფოთლები აღარ შრიალებდნენ. უსულო და სულიერმა ბუნებამ რაღაც საოცარის უბედურების მიახლოვება იგრძნეს. ყველაფერმა ბნელს ტყეს მიაპყრა ყურები. აუტანელი მდგომარეობა იყო.... უცებ ბნელეთიდან ისეთი კვნესა მოისმა, თითქოს დედამიწა გასკდა და მთელს კაცობრიობის ცოდვების ნამყოფი ამოხეთქაო. კიდიდან კიდემდე შეინძრა მთელი ქვეყანა. კვლავ მოისმა კვნესა, უფრო ღრმა, ძლიერი, უფრო საშინელი. კვნესას მოჰყვა გულის განმგმირავი ხმა: „იყავით წყეულნი! იყავით წყეულნი!“... მე მოველოდი მეორედ მოსვლას და უკანასკნელი განკითხვის დღეს. უცებ გაიელვა, დაიჭექა და საშინელი მეხი ჩამოვარდა. გაისმა გრგვინვა და გეგონებოდათ, ქვეყანა ქვეყანას დაეტაკა და ორივე დაიმსხვრაო. ტყიდან სასტიკმა ქარიშხალმა დაუბერა. კვლავ გაიელვა, დაიჭექა და ბნელი ცა ისე განათლდა, თითქოს ცეცხლი მოეკიდაო. განათდა ტყე, აღარ იყო ბნელი და მე დავინახე სურათი... შიშისგან ვთრთოდი, კანკალებდა მთელი ბუნება ჩემს გარშემო.

ნიაღვარივით მიეშურებოდენ ჩვენკენ ჩონჩხები, ძვლები ადამიანებისა წამებულთა, ტანჯულთა, მშიერთა, ჩონჩხები მათი, რომელთაც არასოდეს არ ღირსებიათ გემრიელი ლუკმა, რომელთა სხეული არასოდეს არ გაუთბია სითბოს, რომელთა გული არასოდეს არ გაუხარებია ნათელს დღეს, რომელნიც ცხოვრობდნენ სხვებისთვის, მუშაობდნენ სხვებისთვის, დაიხოცნენ სხვებისთვის! გამწარებულნი მორბოდნენ ჩვენსკენ, ამსხვრევდნენ და ანადგურებდენ ყველაფერს და შურისძიებების წყურვილით იწვებოდა მათი საშინელი სახეები...

უთვალავი იყო მათი რიცხვი...

მე დავიყვირე და გამოვეღვიძა. ჩემს ოთახში ვიწექი, მთლად ოფლში ვიყავი და შორს გაიგონებდა ადამიანი ჩემის გულის ბაგიბუგს. წამოვდექი, დიდხანს ვერ დავწყნარდი და ვერას გზით ვერ წარვიხოცე საშინელის სურათის შთაბეჭდილება...

ღმერთო, შეგვიბრალე ჩვენ ცოდვილნი! შეგვიბრალე, თუ შენს მოწყალებას არ აქვს საზღვარი... მაგრამ არა! არა! შენს მოწყალებას ექნეს საზღვარი, როდესაც მრავალთა ტანჯვებს არ აქვს საზღვარი. შენ არ შეგვიბრალებ ჩვენ!..

**

მკითხველო, დაწყნარდით, გული დაიმშვიდეთ. სერიოზულად კი არ მიიღოთ ეს ყველაფერი. ეს ხომ სიზმარი იყო და არა ნამდვილი. თანაც იმედია, თქვენი სინიდისი სრულიად წმინდაა და არავითარი ცოდვები არ გაწევსთ კისერზე... განა დღესვე რომ მოგიწოდონ ყოვლად მართალმა და ყოვლის მხილველმა განგებამ, ჩაიხედოს თქვენს გულში, თავს წამოგადგნენ მშიერნი და შიშველნიც,—თქვენ თამამად არ შეგიძლიათ უპასუხოთ: მე უბრალო ვარ?.. განა რომ მოგმართონ წინაპრებმა და გკითხონ: სად არის ჩვენი სამკვიდრო,—არ შეგიძლიათ თამამად უპასუხოთ: მე უბრალო ვარ?.. განა თქვენის ბუნების სიღრმეში ჩამალული, ჩაფლული, ჩაბორკილი „მე“ რომ წარმოსდგეს, დაგიდგეთ წინ და შეგეკითხოსთ: რადა ვარ აგრე მიგდებული, დამონებული, მივიწყებული, - არ შეგიძლიათ თამამად და რიხით უპასუხოთ: მე უბრალო ვარ?..

რა-კი აგრე უბრალო ხართ ყოველის მხრით, რისი უნდა შეგეშინდესთ, რისთვის უნდა შეგრცხვესთ და გაწითლდეთ?! ბევრი რამ დაიწერება ქაღალდზე, ბევრი რამ დაიბეჭდება გაზეთში, ბევრი რამ ახირებული მოეჩვენება სიზმარში მეფელეტონეს, მაგრამ თქვენთან ვის რა ხელი აქვს! წაიკითხეთ გაზეთი, გაიცინეთ და მერე შორს გადაისროლეთ. მადიანათ შეექცით და მიირთვით სადილი,—რად იკითხავთ, თუ ვისი გაკეთებულია! წადით და ფეხზე ემთხვიეთ,—რად იკითხავთ, თუ ვინ არის, თუ კი იგი თქვენი მწყალობელია!..

არ გშიათ, არ გწყურიათ, არ გცივათ, კანონის ყოველივე მოთხოვნილებას ასრულებთ, წესიერად ცხოვრობთ. კმაყოფილი ხართ... ბედნიერი ხართ. და ნურავითარს ყურადღებას ნუ მიაქცევთ კვლავ მეგაზეთეს, თუ იგი კიდევ ახირდება და ვეტყვით: „ბედნიერი ხართ და მიტომაც მებრალებით, რომ ბედნიერი ხართო! როგორ დაეცით, დავლახაკდით, გაირყვენით ამ თქვენის ბედნიერებით, ამ კმაყოფილებით!.. როგორ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშისა და მწარმოებელის შორის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას დაჯილდოვებული მუშა, თუ ვინიცობაა რამე უბედური შემთხვევა მოხდა; ასეთი „კერძო შეთანხმებანი“ ყოველთვის საზარალონი იყვნენ მუშებისათვის....

მე აღვნიშნე მხოლოდ მთავარი პრინციპები ახალის კანონისა, თუმცა სხვა მისი მუხლებიც საინტერესოა. ჩვენებურ მუშებისათვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა, რომელსამე გამომცემელს ქართულად ეთარგმნა და ცალკე წიგნაკად გამოეცა ახალი კანონი, რომელიც, როგორც ჰხედავთ, მართლა მოასწავებს ერთის ნაბიჯის წინ გადადგმას მუშათა კანონმდებლობაში, თუმცა არც ისეთია, რომ მის გამო მრეწველ-მწარმოებელნი აღელვებულიყვნენ.

გან

რუსეთის ქრონიკა

✦ საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, გადასდოს მომავალ წლიდან ყოველ წლობით 75 ათასი მანეთი საქალაქო სასწავლებლებთან სახელოსნოებისა და სახელსაქმო კლასების მოსაწყობად და შესანახავად.

✦ პალატას განუხილავს საქმე ასკარხანოვისა, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული ეგრედ წოდებულ ლიტერატურულ ქურდობისათვის. ასკარხანოვმა გადაბეჭდა დანიელსონის მიერ გამოცემული „კაპიტალი“ მარქსისა. ეს საქმე წინად განიხილა ოლქის სასამართლომ, რომელმაც ასკარხანოვი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა 15 ათასი მანეთის გადახდა დანიელსონის სასარგებლოდ და 2 ათასი მანეთიც ჯარიმა. ასკარხანოვი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაყაბულდა და საქმე სამოსამართლო პალატაში განსაჩივრა. პალატაში ჩვენება ჩამოართვეს რამდენსამე ახალ მოწმეს, ამათ შორის ერთს მესამოცე წლების ცნობილ კრიტიკოს ბ—ს, რომელმაც განაცხადა, რომ ასკარხანოვის მიერ გამოცემულ მარქსის „კაპიტალი“ გადმობეჭდილია დანიელსონის გამოცემიდან. პალატას ასკარხანოვი დამნაშავედ არ უცვნია და ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუუქმებია („კურ.“).

✦ როგორც ნავარაუდევია, მომავალ 1904 წელს იმ გუბერნიებში, სადაც სახაზინო არყით სავაჭროები არსებობს, დაიხარჯება 68 მილიონი ვედრო არაყი, რაიც ხაზინას 522 მილიონ მანეთს შემოსავალს მისცემს. („ს. პეტ. ვედ.“).

✦ ჟიტომირის საშუალო სასწავლებლების უფროსებს ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან მოსვლიათ შემდეგი შინაარსის ცირკულიარული მოწერილობა: „დაუყონებლივ აუწყეთ ოლქის მზრუნველს ისეთი შემთხვევები, როგორიც არის მოსწავლეთა შორის აკრძალულ პროპაგანდით მომხდარი უწესოებანი და არა ჩვეულებრივი დარღვევა სასწავლებლის დისციპლინისა და შედეგი ასეთ შემთხვევების დაწვრილებით გამოძიებისა. აგრეთვე იმწამსვე აცნობეთ ოლქის მზრუნველს მოწაფის დათხოვნის ამბავი და დაწვრილებითი ცნობები, რომელმაც გამოიწვია მოწაფის დათხოვნა („ვოლინი“).

✦ როგორც „კიევლ.“ იუწყება, კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის სტუდენტების საღამო, რომელიც შაბათს, 22 ნოემბრისათვის იყო დანიშნული, გადაიდო.

✦ ეკატერინოსლავში სასამართლოს განუხილავს საქმე პურის საცხობის პატრონის ბორის სოლცისა, რომელიც პასუხის გებაში ყოფილა მიცემული ეკატერინოსლავში 5 აგვისტოს მუშების საყოველთაო გაფიცვის დროს პურის ფასის თავის ნებით აწევისათვის. ბრალდებულს თავი დამნაშავედ არ უცვნია და პურის ფასის აწევა თავის მოსამსახურეებისათვის დაუბრალებია. მოწმეების ჩვენებით სასამართლოში გამორკვეულა, რომ მოსამსახურეებს პურის ფასი აუწევიათ სოლცევის განკარგულებით. სასამართლოს სოლცევი დამნაშავედ უცვნია და 25 მანეთით დაუჯარიმებია. (კიევს. გაზ.“)

✦ „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი“ იუწყება: ენისეის გუბერნიის მინუსინსკის მაზრაში ძლიერ გავრცელებული ყოფილა ცხენის ქურდობა. გუბერნატორს დაუვლია მინუსინსკის მაზრა და ყოველ საზოგადოებაში 4—5 კაცისათვის მიუნდვია შედგენა საეჭვო კაცების სიებისა. რწმუნებულთ დაუყოვნებლივ შეუდგენიათ სიები და გუბერნატორისათვის წარუდგენიათ, ხოლო გუბერნატორს ეს სიები წარუდგენია სოფლის ყრილობათათვის, რომელთაც სიაში მოხსენებულებისათვის გადასახლება გადაუწყვეტიათ. ამნაირად ერთ მაზრიდან ათასზე მეტი კაცი ეჭვით გადაუსახლებიათ. მაგრამ ამით ქურდობა არ შემცირებულა, რადგან უფრო დახელოვნებულ ქურდებს ჯიბე სქელი ჰქონიათ და სიების შემდგენლებთან მეგობრულ განწყობილების შეკვრა ადვილად მოუხერხებიათ.

თეატრი

როგორც „ტეატრ ი ისკუსტვო“ გადმოგვცემს, ტფილისის სახაზინო თეატრის დირექციას წინადადება მიუცია ანტრეპრენერის ფორკატისათვის, აიღოს სახაზინო თეატრი 1904—5 წლის სეზონში. იგივე გაზეთი სწერს, რომ აღდგომის შემდეგ ფიგნერი თავის დასით ვოლგას ნაპირებზე მდებარე ქალაქებს შეჰყვება და წარმოდგენებს გაჰმართავსო. ნიჟნი-ნოვგოროდშიაც აუღია ფიგნერს თეატრი, სადაც წარმოდგენებს იარმუკის დროს გაჰმართავს.

—

მოსკოვში ეხლახან გარდაიცვალა ჟურნალისტი და დრამატურგი ნ. ო. რაკშანინი. იგი უფრო ცნობილი იყო როგორც ჟურნალისტი. თანამშრომლობდა სხვა-და-სხვა გაზეთში. რაკშანინმა სულ ორი პიესა დასწერა. ერთი პიესა „Порывъ“ (ქართულად არის გადმოთარგმნილი და ეწოდება „გულის თქმა“) პირველად მოსკოვში წარმოადგინეს, მაგრამ ეხლა ამ პიესას რუსეთის ვერც ერთ თეატრის რეპერტუარში ვეღარა ჰნახავთ.

—

ყოველ წელიწადს გერმანიაში იბეჭდება „კრებული გერმანულ თეატრებისა“. ამას წინად დაიბეჭდა ახალი „კრებული“ 1902-1903 წლ. სეზონის შესახებ. როგორც ამ კრებულში მოთავსებულ ცნობებიდანა სჩანს, საანგარიშო წელს შილლერის პიესები გერმანიაში წარმოუდგენიათ—1111-ჯერ. შექსპირისა—658-ჯერ, გეტესი—347-ჯერ, გრილპარცერისა—338-ჯერ, ლესსინგისა—212 და მოლიერისა—228-ჯერ. თანამედროვე დრამატურგებისა: შენტანის პიესები—1366-ჯერ, ბლიუმენტალისა და კადელბურგისა—1337-ჯერ, მეიერ ფერსტერისა—1255-ჯერ, ზუდერმანისა (9 პიესა)—1050-ჯერ, მეტერლინკისა (2 პიესა)—835-ჯერ, ერნსტისა—429-ჯერ, ჰაუპტმანისა (6 პიესა)—418-ჯერ, ფილდიპისა—339-ჯერ. იბსენისა (7 პიესა)—323-ჯერ, ფულდისა (5 პიესა)—295-ჯერ, შნიტცლერისა—271-ჯერ, ბიერნსონისა—248-ჯერ და ბოლ გეიზესი—106-ჯერ.

სასამართლო

I

კაცის მოკვლა

1901 წელს, 15 აპრილს, ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჩხუტელის მცხოვრების იოსელა გვიშიანის სახლში კოწია დაშნიანს და ილიკო კეკუტიას ჩხუბი მოსვლიათ. იქვე ყოფილა კეკუტიას ნათესავი ალექსი მეშველიანი. რადგან კოწია დაშნიანს ჩხუბის თავიდან აცილება სდომებია, ამდგარა და წასულა სახლში. როცა პატარა მანძილი გაუვლია, უკან დასდევნებიან ხანჯალ ამოღებული კეკუტია და მეშველიანი. იქვე გზაზე მდგარა ბესარიონ მეშველიანი, რომელსაც წაუვლია ხელი კეკუტიასათვის შესაჩერებლად, მაგრამ ამ უკანასკნელს დაურტყამს ხელზე ხანჯალი და დაუჭრია. შემდეგ ისევ გამოსდევნებია დაშნიანს, დასწევია და ორჯელ რევოლვერი დაუხლია. კოწია დაშნიანი წაქცეულა, მაგრამ ისევ წამომდგარა ზეზე. მაშინ ალექსი მეშველიანს უსროლია რევოლვერი. კოწია დაშნიანი მობრუნებულა და თითონაც რევოლვერი დაუმიზნებია ილიკო კეკუტიასათვის. ამავე დროს დაშნიანისათვის რევოლვერი დაუმიზნებია ალექსი მეშველიანს. გავარდნილა ერთსა და იმავე დროს ორი რევოლვერი: მეშველიანისა და დაშნიანისა. ტყვია მოჰხვედრია შუაში მდგომ ილიკო კეკუტიას, რომელიც იქვე გარდაცვლილა. შემდეგ ალექსი მეშველიანს ხანჯლით კოწია დაშნიანი რამდენგანმე დაუჭრია. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ კეკუტია მოუკლავს იმის ნათესავს ალექსი მეშველიანს. ქუთაისის ოლქის სასამართლოს მეშველიანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალმდებელს საქმე გადმოუტანია პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა 27 ნოემბერს. პალატამ მეშველიანი მეტის სასჯელის ღირსად სცნო და გადაუწყვიტა, ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 3 წლით.

II

ხვალ, 1 დეკემბერს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს საქმეს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დირექტორის მელნიკოვისას, რომელსაც ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტის პატრონის მეუღლე ქ-ნი ჩხარტიშვილი უჩივის შეურაცხების მიყენებისთვის.

III

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 13 დეკემბრისთვის განსახილველად დანიშნულია საქმე რაჭის მაზრის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებლისა სერგეი ავალიანისა, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

IV

20 დეკემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ანტონ და დიმიტრი ლოტარიევისა, კვარაცხელიასა და ხურცილავასი, რომელთაც დილიჟნიდან კირიას გასათხოვარ ქალის მოტაცება ჰბრალდებათ. ამავე დღეს პალატა განიხილავს საქმეს ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულად ნამყოფის ტერ-გრიქუროვის აგენტის გრიგოლ ჩიქოვანისას, რომელსაც ქურდობა ჰბრალდება.

წერილი რაჭიდან

საიაშვილო ტყე

სოფ. სადმელს, ძირაგეულს, კვაცხუთს, წესს და ღიხეთს ჩრდილოეთის მხრით აკრავს ერთი

გიყვარებდი, როგორ მივიკრავდი გულზე, რომ თქვენს სახეზე მწუხარებას წავიკითხავდე. როგორ დაგიკოცნიდი თვალებს, რომ შიგ ცრემლებს დავინახავდე! შეგიყვარებდი ძლიერის ძმურის სიყვარულით; რომ სტიროდეთ, ვით სტიროდენ ისრაელნი ბაბილონის მდინარეთა ნაპირეზე, ვით სტირიან დღესაც, წამებულნი მისთვის, რომ კაცობრიობას მოუვლინეს უდიადესი კაცი-ღმერთი იესო, სტირიან და მწარედ მოსთქვამენ:

მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე ჩიტს,
კაცსა—სამშობლო და ისრაილსა
არა რა, გარდა თვის საფლავისა!..

„ჩვენთვის კი გაშრა ცრემლები და გაქვავდა გულიო!..“ ასე შემოგჩივლებთ, მკითხველო, მეფელეტონე, ხოლო იმედია, წინანდებურად ტკბილად განაგრძობთ მყუდრო, უშფოთველს, ყოვლად უნჯს და ყოვლად მუნჯს, მაგრამ წესიერს, კმაყოფილს და ბედნიერს ცხოვრებას. „მეგაზეთემ რაც უნდ თქვასო, ოღონდ წისქვილმა კი ფქვასო“. არა?..

* *

სიზმარმა ჩაგვითრია და ნამდვილი ამბები კი განზე დაგვრჩა. ჩამომავლობა საყვედურს გვეტყვის, ისინი რომ აღუნიშვნელი დაგვრჩეს. ყველაზე უწინარეს აღვნიშნავ სიღნაღის თვითმმართველობის ზრუნვას ქალაქის მცხოვრებთათვის; ვამბობ, თვითმმართველობას, თუმცა დღევანდელ თვითმმართველობაში თვითმმართველობის სახელია მხოლოდ და სახრავი-კი სხვისია. სიღნაღის მოურავს (იგივეა თვითმმართველობა) თავის ამომრჩეველების გული უპირველესად იმით გაუხარებია, რომ წინათ თუ საკანცელარიო ხარჯი 1000—2000 მან. იყო, ეხლა 4000 მ. გახადა, ალბად იმ მოსაზრებით, რომ დღეს იმდენად მეტს პატივსა სცემენ ადამიანს, რამდენად უკეთ გამოწყობილიო. მეორე ღვაწლი მოურავისა სამშობლო ქალაქის წინაშე არის ის, რომ მოურავმა იყიდა ერთი ფარანი და დადგა შუა-ქალაქში. ერთის ფარნის მეტი საჭიროდ არ დაუნახავს მოურავს სიღნაღისათვის, რადგან სულ მეტია, ნამეტანი გავანათოთ ღამე ჩვენი ქალაქი: ჩვენს საბინძურეს და უსუფთაობას დღისით რომ ვუყურებთ, ისიც გვეყოფაო. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ თვითმმართველობას—თვითნებობას ხარჯის არ ეშინია, მოურავს ამ ერთის ფარნის მოსავლელად სამი კაცი დაუქირავებია: ერთმა სპიჩკას უნდა მოუკიდოს, მეორემ ლამპას შუშა აადროს და მესამემ—აანთოს. მესამე ღვაწლი სიღნაღის მოურავისა ყველაზე უფრო თვალსაჩინოა: მოურავს დაუნიშნავს „ბაზრის ზედამხედველი“ (ჯამაგირი 25 მან.), რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს, რომ სოფლელებმა საქონლის გაყიდვის დროს როგორმე ვაჭრები არ მოატყუილონ...

* *

ქუთაისის თვითმმართველობას კიდევ მეორე სენი გასჩენია (თუ დიდი ხანია არ სჭირს ეს სენი!) კარგად მოგეხსენებათ, რომ ქუთაისში პოლიციაა,—ამას, თუ არ იცოდით, გაიგებდით ამასწინდელის პროცესსისაგან აქაურის პოლიცმეისტერის შესახებ. მოგეხსენებათ ისიც, რომ პოლიციას ქალაქი ინახავს, რადგან პოლიცია ქალაქს იცავს ყოველგვარ უბედურებისაგან. ქუთაისის გამგეობას ამ სამის წლის წინად ხუთის წლის ვადით და უქირავებია პოლიციის უმთავრეს განყოფილებისათვის ბინა, რომელიც მაშინ მშვენიერ და ჩინებულ ბინად უცვნია ყველას, ასეთად უცვნია, სხვათა შორის, ქალაქის ექიმს სეგალსაც. ახლა კი ამდგარა ექიმი სეგალი და საჩივარი შეუტანია გუბერნატორთან: ეს ბინა ნოტიო და ყოვლად უვარგისია, და უნდა, აიძულოს ქალაქის თვითმართველობა, სხვა ბინა დაიქირავოს და ეხლანდელს ხალხის პატრონს ჯარიმა გადაუხადოს.

მერე რამ გამოიწვია ექიმის ასეთი აზრი? რისთვის გამოდგა უვარგისი ის სახლი, რომელშიაც წინად ცხოვრობდნენ ოლქის სასამართლოს წევრი, ორი გენერალი და თვით ექიმი სეგალიც?—კორესპონდენტი ყრუდ გვეუბნება ამაზე: ექიმს რაღაც უსიამოვნება მოსვლია სახლის პატრონთანო...

აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი გაჰყლიტესო. მაგრამ ვაი, რომ კოზაკიც აღარ არის ქალაქის თვითმმართველობა!

* *

ქიზიყიდან იწერებიან: ნამეტან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ, ყველამ ჩვენზე მოიტანა იერიში: ქურდმა, სოფლის ჰამიამ, მოხელემ, მღვდელმა და ერის კაცმაო; ყველა ჩვენ გვჩაგრავს და პატრონი ჩვენთვის არ არისო. ს. ტიბაანში, სადაც 300 კომლია, 15 კაცს განჩინება დაუდგენია: სოფლისთვის ორი დარაჯი დავიქირაოთ და ჯამაგირად სოფელმა 48 თუმანი აძლიოსო. მამასახლისს დაუმტკიცებია ასეთი განაჩენი და სოფელი ძალა უნებურად იხდის ეხლა ამოდენა ფულს, თუმცა დარაჯების შემწეობით ქურდობა და ავაზაკობა სრულებითაც არ შემცირებულა (თუ არ გამრავლდაო).

სწუხს ამ ამბის მომწერი კორესპონდენტი, სამართალს ეძებს: რა საბუთით დაამტკიცა მამასახლისმა, „კანონისა და წესიერების დამცველმა“ სოფლის პოლიციამ ასეთი უსამართლო დადგენილებაო.—სამართალის ძებნის რა მოგახსენოთ: მისი ძებნა ძლიერ მოსაწონია, თუმცა ძნელად საპოვნელი კია სამართალი დღეს და მას დავეძებთ ყველანი. რაც შეეხება მამასახლისის საბუთს, ეჰვი არ არის, მას „საბუთი“ ექნებოდა, როდესაც 15 კაცის გადაწყვეტილება თავზე მოახვია 300 კომლს, ექნებოდა კარგი „საბუთი“, მატერიალური საბუთი...

„ამაზე მეტი მასხარად აგდება სოფლისა გაგონილა? გვეკითხება კორესპონდენტი: ამაზე მეტი დედაკაცის ლეჩაქით ტარება ჩვენი სოფლისა კიდევ შეიძლება? მაგრამ ვერაფერი ვერ გაგვიბედნიაო“...! ბოლოს კორესპონდენტი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება და ახალის ბოქაულის იმედი აქვს: იგი შემოიტანს წესიერებას და სამართალს დაამყარებს ჩვენს სოფელშიო.

ნეტარ არიან, რომელთაც სწამთ ძლიერება ბოქაულისა!.. ყოველს შემთხვევაში, თუ ს. ტიბაანს სამართალი არ ეღირსა ახალის ბოქაულის შემწეობითაც, გული იმით დაიწყნაროს, რომ სხვებიც არიან მასხარებად აგდებულნი, სხვებსაც ატარებენ დედაკაცის ლეჩაქით!

* *

როგორც არის, გაბედა დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ, როგორც არის, მიაფურთხეს ეშმაკს ჩვენმა აქტიორებმა და გვაჩვენეს ერთი ახალი, აზრიანი, ცოცხალი პიესა „ხალხის მტერი“. ცდა ბედის მონახევრეაო. არა, ცდა ხანდახან მთელი ბედიცაა! ჩვენმა აქტიორებმა შესძლეს იბსენის პიესის წარმოდგენა, მათმა თამაშმა დააკმაყოფილა მაყურებლები, და კიდევ უფრო დააკმაყოფილებდენ კიდევ უკეთ ითამაშებდენ, რომ მეტის რწმენით მოეკიდათ საქმისთვის ხელი და უკეთ დაესწავლათ ზოგიერთებს როლები.

პიესა დიდის ინტერესით მოისმინა საზოგადოებამ, ზოგიერთს ადგილას პირდაპირ ალტაცებით მიეგება. სრულიად მკვდარიც უნდა იყოს საზოგადოება, რომ ასეთი აზრები ესმოდეს სცენაზე, ასეთ ბრძოლას ხედავდეს და გული არ აუძგერდეს. საზოგადოების წინაშე ვისიმე სტოკმანის და მისის ძმის ბურგომისტრის შეტაკება კი არ იყო მხოლოდ, არამედ მთელის კაცობრიობის ისტორია, მუდმივი გაუწყნარებელი ბრძოლა ადამიანის სულისა სინათლისათვის, სიმართლისათვის, თავისუფლებისათვის!...

იმედია, პირველ ცდას მეორე, მესამე ცდაც მოჰყვება...

სიტყვა

უზარმაზარი საყარე მთა, საიაშვილოდ წოდებული. ეს მთა გადაჭიმულია სვანეთის საზღვრამდე და ეკუთვნოდათ თავ. იაშვილებს. იაშვილები დიდი შეძლებისა და სახელგათქმული თავადიშვილები ყოფილან თავის დროზე რაჭაში და ჭყონდიათ მრავალი ყმა. ჩვენი ქვეყნის აღების დროს იაშვილებს დიდი წინააღმდეგობა გაეწიათ რუსის ჯარისთვის, მაგრამ ძლეულან და იმერეთში გადასახლებულან. ბევრნი რუსეთში გადაასახლეს. სხვა მრავალ შეძლებასთან ეს დიდი მთაც იაშვილების კუთვნილებას შეადგენდა, ამიტომ ამ მთას პატრონის სახელწოდება მიუღია „საიაშვილო". იაშვილების მთა ერთად-ერთი მთა არის რაჭაში, რომელიც აკმაყოფილებს მთელ მაზრას ყავრით და ძვირფას ხე-ტყის მასალით. ამ მთაში მოიპოვება მრავალი მუხა, ნაძვი, თელა, წაბლი, ურთხელა და სხვა. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე ქვემო რაჭის მკვიდრნი ვერ იცხოვრებენ, თუ საიაშვილო მთა არ ექნებათ. ამ 15 წ. წინად შვიდმა სოფელმა იყიდა ნაწილი საიაშვილო მთისა. გლეხები სულითა და გულით ელოდნენ კანონიერად ნასყიდობის შესრულებას, ეგებ მაშინ მაინც გაგვიშვან ტყეში და რიგიანად თვალი მოვიწყოთო, მაგრამ გლეხებს არც მაშინ ეშველათ, როცა შესრულდა კანონიერად ნასყიდობა. რადგან ნაწილი მთისა გაუყიდელი იყო, ამიტომ ნაყიდი და უყიდი მთა მთელად დაკავებულ იქმნა და მთას საკუთარი მზრუნველი მიუჩინეს. მზრუნველმა გაიჩინა ყოველ სოფელში ტყის მცველები. ტყის მცველები არავის არაფერს ანებებდნენ. ხშირად ტყის მცველები სოფლად ჩამოივლიდნენ ხოლმე და ყოველ გლეხისას საბძელში თივის ქვეშ ეძებდნენ, ყავარი არ იყოს იქ დამალულიო. თუ ყავარს ვერ იპოვნიდნენ, სადილს მაინც უეჭველად იპოვნიდნენ. წელს გაუღიმათ ბედმა მეიდველებს, ითხოვეს მთის გაყოფა და კიდევაც მიუზომათ მიწის მზომელმა წასულს სექტემბერში თავიანთი ხვედრი. ბ-ნი მზრუნველი და ტყის მცველები მაინც თავისას არ იშლიან და გლეხებს სდევნიან. 21 ნოემბერს შეიკრიბნენ სოფ. წესი და ლიხეთი, ამათ ამოირჩიეს ორი კაცი მეველეთ. მეველეებმა უნდა დაიცვან გაჩეხისაგან საიაშვილო მთა. თითეულ მონაწილეს უფლება აქვს გამოიტანოს ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ხე. მეველეებს ყოველ თვეში ტყეს დაუთვალიერებს სოფლებიდან ამორჩეული ორი კაცი, უკეთუ ის ორი კაცი ტყეს გაჩეხილს აღმოაჩენს, ან თითეულ მონაწილეს ორ ხეზე მეტი ექნება წაღებული, იმ შემთხვევაში მეველეები განაჩენის ძალით ჯამაგირზე ხელ აღებულ უნდა იქნენ და პასუხის გებაშიც მიიცემიან. სოფ. წესელებისა და ლიხეთლების აზრი ტყის დაცვის შესახებ ფრიად მშვენიერი და მისაბაძია. რა კი გლეხებს ნება მიეცემათ მთაში მუშაობისა, ერთმანეთის ჯიბრზე ორი სამი წლის განმავლობაში სრულიად გაანადგურებდენ ამ საშვილი-შვილო განძსა. არა გვავდეს მოახლეო, თავი მოიმუახლეო. დროა ყველამ თავისთავს უპატრონოს.

ვანო ჭიჭინაძე

წვრილი ამბები

ბავშვების კოცნა. თანამედროვე საზოგადოებას ბევრი ცუდი და საშიში ჩვეულება აქვს. ყველაზე უაზრო და დასაგმობი ჩვეულებაა კოცნა ბავშვებისა. მშობლებმა უეჭველად უნდა აკოცნინონ ხოლმე თავიანთ ბავშვებს სხვა ბავშვებისათვის, თუნდ ასჯერ ნახონ დღეში ერთმანერთი. და ეს ზრდილობისა და პატივიცემის ნიშნად მიაჩნიათ!

ბავშვებს ბარემ არაფრად ეპიტნავებათ ეს კოცნა, ძალდატანებულად და უგულოდ უშვერენ ტუჩებს, თითქო ბუნდად გრძნობენ, თუ რა ხიფათი მოსდევს ამ კოცნასაო, მაგრამ რა ჰქნან, მშობლები დასტუქსავენ, უზრდელობას უკიჟინებენ!

წითელა, ყივანახველა, ქუნთრუშა და სხ. ავადმყოფობა ამ გზით გადაედებათ ხოლმე ბავშვებს ერთი მეორისაგან, ამიტომ რომ ყველა ამ ავადმყოფობათა დასაწყისში ბავშვებს მეტად შხამიანი წვინტლი სდით ცხვირიდან და სწორედ ამ სითხის საშუალებითაა, რომ ეს საცოდავი არსებანი ერთი მეორეს ავადმყოფობას გადასდებენ ხოლმე კოცნის დროს.

დიდებმა ერთი მეორე მანამდე ჰკოცნონ და ლოშნონ, სანამ მოეწყინებოდესთ, ეს მათის კეიფის საქმეა. ამათ, უეჭველია, ეამებათ კიდეც კოცნა. გარდა ამისა, თუ რამ გადაედვათ, პასუხის მგებელნი თვითონვე იქნებიან თავიანთის მოქმედებისა. მაგრამ აქაო და ზრდილობა მოითხოვსო და ბავშვებს სხვისი ბავშვები აკოცნინოთ, როგორც გნებავთ, ისე განსაჯეთ და ეს კი მეტის-მეტი უგუნურობა გახლავსთ. ჯერ ერთი ისა, რომ ბავშვებს არ ესიამოვნებათ სხვა ბავშვების კოცნა, მეორეც ისა, რომ ეს სახიფათოა. ჩვენი მოვალეობაა, დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა ჩავჩიჩინებდეთ ხოლმე მშობლებს: მოიშალონ ეს ჩვეულება, ბავშვებს თავიანთის ტუჩებით ნუ მიაკარებენ სხვა ბავშვებს და ამ ნაირად აარიდონ ხოლმე ყოველგვარი გადამდები სენი.

პოლიცია და ჯიბით სატარებელი ტელეფონი. ვენის პოლიციამ, სამსახურის უკეთ ასრულებისათვის, თავისს მოხელეებს დაავალა ჯიბით ატარონ ხოლმე ტელეფონის მანქანა. ყოველს აგენტს პოლიციისას ჯიბით დააქვს ასეთი იარაღი და როცა დასჭირდება, ქუჩებზე გამართულს მანქანას მიაბამს და რაც უნდა, ხელად შეატყობინებს ცენტრალურ ადგილს პოლიციისას. პირველმა ცდამ საუცხოვოდ ჩაიარა.

უკვამლო ქალაქები. როგორც მოგეხსენებათ, დიდ ქალაქებში მრავალი ქარხანაა გამართული და მათის საკვამლეთაგან ამომავალი კვამლი ჰაერსაცა შხამავს და სახლებსაც მჭვარტლითა ჰფარავს. განსაკუთრებით ინგლისის დედა-ქალაქი ლონდონია ამ მხრივ ცუდ დღეში: სადაც ქვანახშირით ამოძრავებენ მანქანებს, ბევრის კვამლის მიზეზი ის გახლავთ, რომ ნახშირი საკმაოდ არ იწვის და აუარებელ კვამლს უშვებს. ლონდონში ახლა გამოიგონეს ამის წინააღმდეგი საშუალებაც. ქვანახშირს უმატებენ ხოლმე გვარჯილას (თოფის წამლის შესამზადებლად რო ხმარობენ ხოლმე) და ქვანახშირიც უკვამლოდ იწვის. ვინც ეს მოიგონა, ადრე ზოგიერთ ხარისხის თუთუნს დაჰკვირვებია და შეუმჩნევია, რომ თუთუნი მაშინაც კი იწვოდა, როცა არა სწევდნენ და სადმე დასდებდნენ. სრულიად მაშინ დაიწვოდა ეს თუთუნი, როცა ცოტა გვარჯილას მიუმატებდნენ. რაკი თუთუნზე ასე იმოქმედა გვარჯილამ, უეჭველია, ქვანახშირსაც ეგევე დაემართებაო, და სცადეს კიდეც. ცდას სასურველი შედეგი მოჰყვა. ახლა უნდათ ეს საშუალება პარიზშიაც სცადონ და ესდენი კვამლი, ამ ქალაქს რომ ასდის, მცხოვრებთ არ ასუნთქვინონ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ნოემბერი

ეკატერინოსლავი. საბჭომ დაადგინა, ახალ საქალაქო სახლში განმათავისუფლებელ მეფეს ძეგლი დაუდგათო.

ლოძი. რადგან დამზღვევ საზოგადოებათ შესამჩნევად ასწიეს მუშების უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი პრემია, ადგილობრივმა მეფაბრიკეებმა სხდომა გამართეს და განიხილეს საკითხი მუშების დამზღვევ საქალაქო საზოგადოების დაარსების შესახებ.

კიევი. შეიპყრეს აზნაური კრივუშა, რომელსაც ბრალად ედება უაზახის მოკვლა და კაპიტან ვერხოვსკის მძიმედ დაჭრა.

ვილნო. პირველ დეკემბრიდან გუბერნიაში საერობო უფროსთა ინსტიტუტის შემოღების გამო, გუშინ დაიწყო საერობო უფროსთა კრება გუბერნატორის თავმჯდომარეობით.

მოსკოვი. გურზუფის გასაყიდად დანიშნული საჯარო ვაჭრობა არ შესდგა. მოვალე ვოლკოვთან საქმე შეთანხმებით გათავდა. საგანგებო სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, ქალაქს შეუძლია ქალაქის განაპირა ადგილებში სამაზრო მიწის გაყიდვა მხოლოდ ერობასთან შეთანხმებით და მცხოვრებთა ნებაყოფლობით.

ბერლინი. რეიხსტაგი. საიმპერიო კანცლერმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ბებელმა მკაცრად დაჰგმო და გაჰკიცხა რუსეთი. კანცლერის აზრით, ბებელის სიტყვა ისეთის ხასიათის არის, რომ უსათუოდ მოეწონებოდათ საზღვარ-გარეთელ მტრებს, რომელნიც ცდილობენ რუსეთსა და გერმანიას შორის არსებული კეთილ განწყობილება მოშალონ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, პალატის უმეტესობა ჩემს მხარეზე იქნება, თუ მე პირდაპირ განვაცხადებ, რომ ასეთი თავდაუჭერელი კრიტიკა არ შეეფერება ხალხის უმეტესობის არც ღირსებას, არც სურვილსა და არც ინტერესებსა, და აგრეთვე გამოვსთქვამ, რომ მე ბებელი ვერ შემიშლის ხელს დავიცვა გერმანიასა და რუსეთს შორის არსებული დამოკიდებულებაო.

ვაშინგტონი. რამდენისამე კვირის წინათ იაპონიამ მიმართა შეერთებულ შტატების მთავრობას და გულახდით შეეკითხა, აღმოგვიჩენთ თუ არა ნივთიერ დახმარებას, თუ ვინიცობაა ომი ასტუდაო. ვაშინგტონის მთავრობამ უპასუხა, დახმარების გაწევა არ შეგვიძლიანო.

შანჰაი. ხმა დადის, რომ ამ მოკლე დროში დედოფალი გამოიწვევს ბერლინიდან ჩინეთის ელჩს გენერალ-ლეიტენანტს ინჩანს და მანჯურიაში უცხოელ ოფიცრების მიერ გაწვრთნილ ჯარების მთავარ-სარდლად დაჰნიშნავსო.

ლონდონი. სანდრინჰემის სასახლეში დედოფლის საწოლ ოთახის გვერდით მეორე ოთახს, სადაც ფრეილინას ეძინა, ცეცხლი გაუჩნდა. ბოლისაგან გადვიძებული ფრეილინა დედოფალთან გაიქცა. მისი უდიდებულესობა იმ წუთში გავიდა საწოლ ოთახიდან, სადაც ამას შემდეგ ჭერი ჩამოინგრა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ელექტრონის გახურებული მავთული ყოფილა. ცეცხლი ჩქარა ჩააქრეს.

ტოკიო. რადგან პარლამენტმა დაამტკიცა სეფე-სიტყვის პასუხი, მიმართული მთავრობის წინააღმდეგ, მოელოდებიან, რომ ან სხდომები გადაიდება, ან სულ დაითხოვენ პარლამენტსაო.

კონსტანტინეპოლი. შეიმუშავეს ინსტრუქცია ორსავე სამოქალაქო აგენტისათვის, რომელნიც ამ მოკლე დროში მოვლენ აქ.—როგორც ხმა დადის, სულთანად ნამეფევი მურადი ავად გამხდარა.

ვენა. 27 ნოემბერს დეპუტატთა წრეებში ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია პალატა დაითხოვონო.

ბელგრადი. 27 ნოემბერს მოვიდა ბორის სარაფოვი.

ლისაბონი. ესპანიის მეფის პატივსაცემლად სასახლეში სადღესასწაულო ნადიმი გადიხადეს; მეფემ წარმოსთქვა სადღეგრძელო ესპანიის მეფისა. საპასუხო სიტყვაში ესპანიის მეფემ შეაქო ნახევარ-კუნძულის ორ ხალხს შორის მეგობრობა.

29 **ნოემბერი.**

ტოკიო. დღეს პალატა დაითხოვეს. ოფიციალურ წრეებს იმედი ჰქონდათ, დეპუტატთა პალატა უკანვე წაიღებს სეფე-სიტყვის პასუხში მთავრობისადმი გამოთქმულ გაკიცხვასაო, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ეს იყო გარდაწყვეტილება შეერთებულ პარტიებისა, და მთავრობამაც გადასწყვიტა პალატის დათხოვნა.

ვენა. 11 დეკემბერს რეიხსტაგის პოლონელთა კლუბმა განიხილა დელეგატებად არჩეულ თავის წევრთა მოქმედება. დეპუტატი დზედუშინსკი იცავდა გარეშე საქმეთა მინისტრის პოლიტიკას; დეპუტატმა გორსკიმ აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკა აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა იყოს შინაურ გავლენათაგან; აღნიშნა აგრეთვე, რუსეთისა და ავსტრიის დაახლოვება. ეს დაახლოვება ნათლად გამოჩნდა მიურცშტეგში იმპერატორთა შეხვედრის დროს. დაახლოვება ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭიროა ორატორი ამბობს, მოხარული ვარ, რომ პოლონელთა კლუბის ბევრი წევრი ჩემის შეხედულებისაო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და დაამტკიცა უწმ. სინოდის მოხსენება, რომლითაც წინამძღვარი ფერისცვალების მონასტრისა არქიმანდრიტი ექვთიმე ინიშნება ალავერდის ეპისკოპოზად და სტარიცის ეპისკოპოზს პავლეს ეძლევა ნება იწოდებოდეს კუნკურის ეპისკოპოზად.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	455½	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	342	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	290	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	91¼	„
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	266	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 სალამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 სალამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) სალამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 სალამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს.)9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 სალამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პოლიციის მე-9 ნაწილის რაიონში საჭიროა სადგომი. ამ სადგომში 10 ოთახზე ნაკლები არ უნდა იყოს. საჭიროა სადგომი კუკიის საქალაქო სამკურნალოსათვის. იმათ, ვისაც ამ გვარი სადგომი მოეპოვება, უნდა მიჰმართონ ქალაქის გამგეობას წერილობითი განცხადებით 7 დეკემბრამდე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს ადრესი და სადგომის ქირის რაოდენობა.

(3—6.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენიან და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—210—3)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის; მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—6.—4)

Дозв. ценз. Тифлисъ 29 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.л Т—ва